საქართველოს კომკავშირი 50 წლისაა

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1971 წ.
№ 196 (4446)
30 სექტემბერი, ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პარტიის მებრძოლი თანაშემწე

ჯ. პატიაშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა და მთელი საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავენ საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

საქართველოს კომკავშირი — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იყო პარტიის აქტიური თანაშემწე, მუდამ პირველთა შორის იბრძოდა ნათელი მომავლისათვის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირმა ბრძოლისა და შრომის დიდი და სახელოვანი გზა განვლო. სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა ახალგაზრდა თაობა. რესპუბლიკის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ უჩვენეს შრომითი გმირობისა და მამაცობის მაგალითები ზემო-ავჭალისა და რიონის ჰიდროელექტროსადგურების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, აგრეთვე, პირველი ხუთწლედების სხვა მშენებლობებზე. ისინი იყვნენ ბევრი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები.

საბჭოთა ხალხისთვის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი, რომელშიც საქართველოს კომკავშირელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. სამშობლოსათვის ბრძოლებში დიდების შარავანდედით შეიმოსეს სახელი რესპუბლიკის კომკავშირის აღზრდილებმა ზ. რუხაძემ, თ. იოსებიძემ, საბჭოთა კავშირის გმირებმა — შ. გამცემლიძემ, ვ. ხარაზიამ, ნ. ადამიამ, გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ლესელიძემ, ო. ჩეჩელაშვილმა, მ. ქანთარიამ და ბევრმა სხვამ.

რესპუბლიკის კომკავშირის მონაწილეობამ ომის შემდგომი ხუთწლედების ვადამდე შესრულებაში, ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღდგენაში ახალი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიაში. კომკავშირი იყო რუსთავის შეფი. მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქი ახალგაზრდების მარჯვენით შენდებოდა.

განაგრძობს, რა მამათა სახელოვან ტრადიციებს, ქართველი ახალგაზრდობა თავდადებით ილვწის კომუნისტური შრომის ყველა ფრონტზე. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე დამკვრელურად მუშაობს ოთხი ათასზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქრო, ცვლა, უბანი, ბრიგადა და რგოლი, რომლებიც აერთიანებენ 45 ათასამდე ქალიშვილსა და ჭაბუკს. 1.200-ზე მეტ კომკავშირულ ახალგაზრდულ კოლექტივს მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო წოდება.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში, რომელიც დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად არის გამოცხადებული. ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ორი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი წავიდა კომკავშირული საგზურებით ვოლჟსკის საავტომობილო გიგანტის, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის, ულიანოვსკის ლენინის მემორიალური ცენტრისა და სხვა უდიდესი ობიექტების მშენებლობაზე.

◆

ბევრი სახელოვანი საქმე გააკეთეს სტუდენტთა სამშენებლო რაზმებმა.

1954 წლის მარტში ქართველი სტუდენტების წარმომადგენლები პირველად წავიდნენ სამუშაოდ აღმოსავლეთ ყაზახეთში. სამი ათასზე მეტმა ჩვენმა სტუდენტმა იმუშავა იქ ამ ბოლო წლებში ყამირის მშენებლობებზე. სამშენებლო რაზმების შემადგენლობაში დამკვრელური მუშაობისათვის, სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებისათვის თბილისელ სტუდენტთა ჯგუფს მთავრობის ჯილდოები გადაეცა.

საქართველოს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა რესპუბლიკის დამკვრელურ მშენებლობათა კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების ესტაფეტა. იგი იუბილეს თავისებური შრომითი პატაკი გახდა. გამომუშავებული ფული მთლიანად გადარიცხულია მეცხრე ხუთწლედის ფონდში.

საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა შემოქმედებითი ძალების ახალი აღმავლობის ვითარებაში შეეგებნენ სკკპ 24-ე ყრილობასა და მის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. პარტიის ყრილობის მიერ დასახული ახალი პერსპექტივებით შთაგონებულ ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში, გულდაჯერებით აძლიერებენ მეცხრე ხუთწლედის ტემპს.

ჩვენი ახალგაზრდობის გაზრდილი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის კიდევ ერთი დადასტურებაა ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, მექანიზატორებისა და მეცხოველეების თავდადებული შრომა და წარმატებანი, რომლებიც არ იშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას, აქტიურად მონაწილეობენ სრულიად საკავშირო ლენინურ ჩათვლაში „ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ".

ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეთა წარმატებანი, რომელთა ძალებით ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 ათასი ტონა ჩაისა, მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 180 ათას ტონაზე მეტი ფოთოლი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ქობულეთისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების ახალგაზრდა მეჩაიეებმა. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და სრულიად საკავშირო ალკკ საპატიო ნიშნით დააჯილდოვა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის ახალგაზრდა მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი ქეთევან გოგიტიძე, რომელმაც მერვე ხუთწლედის წლებში მოკრიფა 87 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წლევანდელ ხუთწლედში კი ვალდებულება იკისრა 40 ტონა ჩააბაროს.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნშია ჩაწერილი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კომკავშირული ორგანიზაცია. რესპუბლიკის მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები შეტანილი არიან „სკკპ XXIV ყრილობის . აღსანიშნავად კომკავშირის შრომით საქმეთა მატიანეში".

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანებზე იყო სჯაბაასი სრულიად საკავშირო კომკავშირულ კრებაზე, რომელიც გაიმართა ჩვენი ქვეყნის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში. კომკავშირელები უპატაკებდნენ სამშობლოს პარტიის ყრილობის აღსანიშნავად მოპოვებულ მიღწევებს, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებათა წარმატებით შესრულებას, სახავდნენ მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობის კონკრეტულ გეგმებს. ყრილობის მასალების განხილვისას ბევრი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, ქალიშვილი და ჭაბუკი კისრულობდა დამატებით ვალდებულებას, იჩენდა ახალ პატრიოტულ თაოსნობას.

(დასასრული მე-2 გვ.).

ვ. იაშვილის ნახატი.

საქართველოს კომკავშირი 50 წლისაა

პარტიის მებრძოლი თანაშემწე

დასასრული

სრულიად საკავშირო კომკავშირულ კრებას რესპუბლიკის 8 ათასზე მეტ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში ესწრებოდა 900 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. იმ დღეებში, საბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილეს წინ, 11 ათასზე მეტი კაცი შეემატა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებს.

რესპუბლიკის ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში ყრილობის შემდგომი და კომკავშირის იუბილესათვის მზადების პერიოდი აღინიშნა ახალი შრომითი მიღწევებით. მაგალითად, ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდულმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ცვლაში ამოიღოს ორ-ორი ტონა მადანი გეგმის გადამეტებით. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს გამოუშვან ზეგეგმითი ელმავალი მასალებისა და შრომითი რესურსების დაზოგვის გზით. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ქალიშვილები და ჭაბუკები გვპირდებიან, რომ წლის დამლევამდე საკუთარი ძალებით შეაკეთებენ ორ ზეგეგმით ელმავალს. საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის მიღწეულ წარმატებებს გვიპატაკებენ თბილისისა და ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის, მახარაძის, თელავის, ლანჩხუთისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები.

საერთო საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს სოფლის ახალგაზრდობას, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლას სკკპ XXIV ყრილობაზე, სადაც მან აცნობა ყრილობის დელეგატებს, რომ რესპუბლიკის მეჩაიეები ვალდებულებას კისრულობენ მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წელს მისცენ ჩვენს ქვეყანას 800 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

უკვე მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებანი და სახელმწიფოს ჩააბარეს 185.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ეს შრომითი საჩუქარი მათ მიუძღვნეს საქართველოს კომკავშირის სახელოვან ნახევარი საუკუნის იუბილეს.

რესპუბლიკის კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეცხოველეობის აღმავლობისთვის სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანის შესრულებაში. მარნეულის რაიონის კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად ჩაებნენ კომკავშირულ ორგანიზაციათა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის და გაჩაღეს მოძრაობა მეცხოველეობის ფერმების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. გარდაბნის, წითელი წყაროს, სიღნაღისა და სხვა რაიონების მეცხოველეობის ფერმების და ბრიგადების კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივებმა გამოაცხადეს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის კომკავშირული ორწლედი, აგრეთვე გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება მთლიანად უზრუნველყონ პირუტყვი უხეში და კონცენტრირებული საკვებით, განახორციელონ საზოგადოებრივი ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ლენინური კომკავშირის მთავარი ამოცანა მუდამ იყო და არის ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური იდეურობისა და მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ამჟამად კომკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრშია მთელი ახალგაზრდობის დარაზმვა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს რგოლს — კომკავშირულ პოლიტგანათლებას.

კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში ახალი წლის დადგომა ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ახალი საფეხური უნდა იყოს. ამას ხელს შეუწყობს ახალი სრულიად საკავშირო ლენინური ჩათვლა „განვახორციელოთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი“.

თავის გამოსვლაში სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „ძნელი წარმოსადგენია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც არ იყენებდნენ კომკავშირელთა ენერგიას, შემოქმედებასა და შემართებას“.

საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მიღწევები მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის იმ თავდადებული შრომის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც ესოდენ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

როცა თვალს ვავლებთ განვლილ ნახევარსაუკუნოვან გზას, მტკიცე რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა ეტაპზე საქართველოს კომკავშირი პარტიასთან და ხალხთან ერთად იყო, თაობიდან თაობას გადასცემდა ესტაფეტას.

ქართველი ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს ჩვენი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის გმირულ ტრადიციებს. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ენერგიულად შრომობს ათი ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. კომკავშირი შეფობს უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს, საწარმოებს, სასწავლებლებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს, თავისი თავდადებული შრომით ახალგაზრდობა პრაქტიკულად ამკვიდრებს უფროს თაობათა სახელოვანი ტრადიციების ერთგულებას.

რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში შემოქმედებითმა მონაწილეობამ საქართველოს კომკავშირს ჩვენი ხალხის ღრმა პატივისცემა მოუპოვა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს ჩვენ ვდღესასწაულობთ სკკპ 24-ე ყრილობის წელს, როცა მთელმა ჩვენმა ხალხმა დიდი აღფრთოვანებით აღნიშნა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი.

ქართველი ახალგაზრდობა აღნიშნავს თავისი ორგანიზაციის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს. ახალგაზრდობის ეს დღესასწაული ეკუთვნის კომკავშირელთა ყველა თაობის წარმომადგენლებს — იმათ, ვინც დააარსა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი, იმათ, ვინც იცავდა რევოლუციის მონაპოვრებს, ამდიდრებდა კომკავშირის ტრადიციებს, თავისი თავდადებული შრომით სახელოვანი ფურცლები ჩაწერა რესპუბლიკის კომკავშირის გმირულ მატიანეში.

დღესასწაულის დღეებში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის, ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ ბრძოლებისა და გამარჯვებების განვლილ გზას, ერთხელ კიდევ ვავლებთ თვალს მიღწეულ წარმატებებს და ვრწმუნდებით, თუ რა სასიხარულო ცვლილებანი მოხდა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში და მისი საქმიანობის ყველა სფეროში 50 წლის მანძილზე.

ეს წარმატებანი მიღწეულია კომკავშირის აღზრდილთა მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, კომუნიზმის საქმისადმი მათი ერთგულების მეოხებით. ამ წარმატებებს განაპირობებს პარტიის სისტემატური ზრუნვა კომკავშირისათვის, მისი ბრძნული ხელმძღვანელობა.

50
საქართველოს
ალკკ

ეძღვნებოდა კომკავშირს

30-ანი წლები საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისა და დიად გამარჯვებათა წლებია. საბჭოთა ხალხი არნახულ წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სადაც თავის სიტყვას ამბობს ახალგაზრდობა.

ამ პერიოდში შრომისმოყვარე კომკავშირელთა თანამგზავრი იყო ფიზიკური კულტურა და სპორტი. მხოლოდ ჯანმრთელ, კუნთმაგარ, ძალ-ღონით სავსე და სულიერად მტკიცე ადამიანს შეეძლო იმ სასწაულის მოხდენა, რასაც 30-ანი წლების ახალგაზრდობა აკეთებდა.

შრომას ფიზიკური და გონივრული დასვენება ენაცვლებოდა, რასაც მასობრივი სპორტი უწყობდა ხელს.

ამ დროს მტკიცედ დამკვიდრდა საწარმოო ტანვარჯიში, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, კროსები, სხვადასხვა სახის გადარბენები, ალპინიადები...

1936 წელი, 24 ივლისი. თბილისიდან მოსკოვისკენ გეზი აიღო ინდუსტრიული ინსტიტუტის თერთმეტმა წარჩინებულმა სპორტსმენმა. ყველა მათგანი კომკავშირელი იყო.

მარშრუტი ეტაპებად დაიყო. პირველი ეტაპი: თბილისი — სოხუმი ახალგაზრდებმა ცხენით გაიარეს; მეორე ეტაპი: თბილისი — სოხუმი — ნოვოროსიისკი — იალქნიანი ნავით; მესამე ეტაპი: ნოვოროსიისკი — როსტოვი ველოსიპედებით დაფარეს...

მერე კი ფეხით, მატარებლით, მოტოციკლით, მანქანებითა და თვითმფრინავით იარეს. მოსკოვში პარაშუტებით უნდა დაშვებულიყვნენ, მაგრამ ეს განზრახვა ვეღარ განახორციელეს ცუდი ამინდის გამო. მამაცი სპორტსმენები საბჭოეთის დედაქალაქში ფეხით შევიდნენ.

ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს ქართველ ახალგაზრდებს დედაქალაქის მშრომელებმა. „ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა მთელი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში, თქვენ განახორციელეთ იგი სპორტული ტრანსპორტის ყველა საშუალების გამოყენებით. ასეთი გადასვლა ჩვენ ჯერ არ გვქონია. მოგესალმებით, გილოცავთ!“ — განაცხადა მიღებაზე საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ამხანაგმა ლუკიანოვმა.

ეს დიდმნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება სტუდენტებმა საქართველოს კომკავშირის 15 წლისთავს მიუძღვნეს.

კომკავშირის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება 1938 წელს ჩატარებული ალპინიადები. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები დაიპყრეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ზუგდიდის, მახარაძის, თელავის, მესტიის, სხვა ქალაქებისა და რაიონების კომკავშირელმა ახალგაზრდებმა.

გაზეთებს ყოველდღიურად მოაქვთ გამარჯვების მაუწყებელი ცნობები: „მწვერვალზე წითელი დროშა ფრიალებს!“

1938 წლის 23 აგვისტოს 45 თელაველმა სპორტის მოყვარულმა, რომელთა შორისაც 22 კომკავშირელი იყო, ცნობილი მთამსვლელების ო. გიგინეიშვილისა და ქ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით ქიმოტის მწვერვალი დაიპყრო (იხ. პირველი და მეორე სურ.).

კომკავშირული კროსი. ეს იყო ყველაზე მასობრივი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა ათასობით მუშა-მოსამსახური, კოლმეურნე, მოსწავლე. ეს ორი სურათი 1941 წლის 15 ივნისითაა დათარიღებული.

მესამე სურათზე თქვენ ხედავთ თბილისელი გოგონების ასპარეზობას, მეოთხეზე კი თელაველი კროსმენები არიან აღბეჭდილი. ახლა მათ პირზე ღიმილი დასთამაშებთ. 6 დღის შემდეგ კი ჯარისკაცის ფარაჯაში გამოეწყობიან და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგებიან, სადაც კვლავ ასახელებენ გმირულ კომკავშირს.

ბ. ჩიქვაიძე.

გ. ალიევის ფოტორეპროდუქციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროსიანი ფიშერის წინააღმდეგ



პირველი სვლის მოლოდინში

არგენტინის დედაქალაქი ბუენოს-აირესი საჭადრაკო აჟიოტაჟმა მოიცვა. გაზეთები აჭრელებულია ტ. პეტროსიანისა და რ. ფიშერის ფოტოსურათებით, მათზე წერილებით.

ფინალური მატჩის მონაწილენი უკვე რამდენიმე დღეა ბუენოს-აირესში არიან. პეტროსიანი 22 სექტემბერს ჩავიდა, ფიშერი ორი დღის მერე. საბჭოთა დიდოსტატს თან ახლავს მეუღლე რონა პეტროსიანი. მასთან არიან მწვრთნელები — დიდოსტატები ი. ავერბახი და ა. სუეტინი, სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი (დელეგაციის ხელმძღვანელი). ფიშერი უმწვრთნელოდ ითამაშებს, მას მხოლოდ აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ე. ედმონსონი ახლავს.

მატჩის საორგანიზაციო კომიტეტმა მეტოქეებს „ბრძოლის ველად“ მუნიციპალურ თეატრის „სან-მარტენის“ შენობა შესთავაზა. თამაშს ერთდროულად ათასზე მეტი მაყურებელი შეიძლება დაესწროს.

ორთაბრძოლის მესვეურებმა განრიგის შედგენისას მხედველობაში მიიღეს ფიშერის რელიგიური მოთხოვნები და ოქტომბრის ყველა შაბათი დასვენების დღედ გამოაცხადეს, ხოლო ყველა პარასკევს (გადადებული პარტიების დამთავრების დღეებში) თამაში საღამოს 6 საათზე დაიწყება და ღამის 2 საათამდე გაგრძელდება. აი, თამაშის დღეები:

30 სექტემბერი — I პარტია.
5 ოქტომბერი — II პარტია.
7 ოქტომბერი — III პარტია.
12 ოქტომბერი — IV პარტია.
14 ოქტომბერი — V პარტია.
17 ოქტომბერი — VI პარტია.
19 ოქტომბერი — VII პარტია.
21 ოქტომბერი — VIII პარტია.
24 ოქტომბერი — IX პარტია.
26 ოქტომბერი — X პარტია.
28 ოქტომბერი — XI პარტია.
31 ოქტომბერი — XII პარტია.

შეხვედრის ყოველი შემდეგი დღე გადადებული პარტიის დამთავრებას დაეთმობა. თუ ეს საჭირო არ იქნება, მაშინ მეტოქენი დაისვენებენ.

მატჩის გათამაშების წესით ორივე მეტოქეს უფლება აქვს სამჯერ არ გამოცხადდეს თამაშზე საპატიო მიზეზით. თამაშიდან მათი განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ მატჩისთვის საგანგებოდ დანიშნულ ექიმს.

ფიდე-ს რეკომენდაციით და მეტოქეთა თანხმობით, მატჩის მთავარი არბიტრია ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორი ა. დორაზილი (ავსტრია).

ჯერ კიდევ პრეტენდენტთა შეჯიბრების დაწყებამდე ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის მწვრთნელმა (მოწინავე დიდოსტატები დიდი შეჯიბრებებისთვის ახლა იშვიათად ემზადებიან მარტო) ი. ბონდარევსკიმ, რომელმაც ჩემპიონთან ერთად შეადგინა ვრცელი დოსიე ყველა კანდიდატზე, დაბეჯითებით მითხრა: „ჩვენთვის ყველაფერი ნათელია. უკვე შეგიძლიათ დაწეროთ, რომ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან რ. ფიშერი და ტ. პეტროსიანი!“ როგორც მალე დავრწმუნდით, გამოცდილი დიდოსტატი არ შემცდარა. ფინალისტები ახლა უკვე სტარტზე დგანან, მაგრამ, ვიდრე ისინი ბრძოლას დაიწყებდნენ, გადავხედოთ სულ ახლო წარსულს...

სოფელ რაზდორთან, მოსკოვის ახლოს მდებარე აგარაკზე, პეტროსიანი ფიშერთან შესახვედრად ემზადებოდა. მას ეხმარებოდნენ ძველი მეგობრები — დიდოსტატები ი. ავერბახი და ა. სუეტინი. ლენინგრადიდან ჩამოდიოდა ვ. კორჩნოიც. ნახევარფინალური მატჩის შემდეგ იგი კონკურენტი კი აღარ იყო ტიგრანისთვის, არამედ ისევ ის ძველი, 25 წლის გულითადი ამხანაგი.

ერთ დღეს ყოველკვირეული „64“-ის რედაქციაში იუგოსლავიიდან დარეკეს: დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა ითხოვა პეტროსიანთან დამაკავშირეთო. აღმოჩნდა, რომ იუგოსლავიის რადიოს თანამშრომლებს პეტროსიანსა და ფიშერს შორის პირდაპირი ლაპარაკის მოწყობა განეზრახათ. ღამით პრეტენდენტებმა 40 წუთს ილაპარაკეს, ჯერ ინგლისურად, — როცა გაუჭირდებოდათ გლიგორიჩი თარჯიმნობდა — მერე კი, სულ ცოტა, რუსულად. ამ საერთოდ მეგობრულ საუბარში მთავარი ის გახლდათ, რომ ფიშერს არამც და არამც არ სურდა ოკეანის მეორე ნაპირისკენ გამომგზავრება: „მოდით, ბუენოს-აირესში ვითამაშოთ. იქ შესანიშნავი პირობებია და ყველაზე გემრიელ ბიფშტექსს აკეთებენ. ფიდე-ს კონგრესის იმედი ნუ გექნებათ, სულ ერთია, საქმე ისე გადაწყდება, როგორც მე მინდა — არგენტინის სასარგებლოდ“. პეტროსიანი თანახმა იყო ეთამაშა ევროპის თითქმის ნებისმიერ წერტილში (არ მოსწონდა მხოლოდ „იუგოსლავიის მინდორი“, სადაც ბოლო 17 წლის მანძილზე თითქმის თხუთმეტჯერ გამოვიდა, მაგრამ მესამე ადგილზე წინ ვერ წავიდა). დიახ, ფიშერი შესანიშნავად ერკვეოდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში შექმნილ დღევანდელ ვითარებაში. არ მიგვაჩნია საჭიროდ ყველა იმ „დიპლომატიური“ მანევრის აღწერა, რაც კონგრესის წინ და თვით მისი მსვლელობის დროს გაკეთდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დაიწყო ლაპარაკი, სად უნდა გამართულიყო ფინალური მატჩი სპასკისა და ... ფიშერს (?) შორის. ეს არასერიოზული ცდა შეურაცხმყოფელი იყო პეტროსიანისთვის. და აი, ასეთ ვითარებაში უყარეს კენჭი ათენსა და ბუენოს-აირესს, თუმცა უკვე მანამდე ევროპელმა დიდოსტატებმა ამერიკელებთან მატჩი ორჯერ ითამაშეს დასავლეთ ნახევარსფეროზე. კენჭი ამოიღო ორმა ქალმა, რომელთა წინაშეც მაგიდაზე ორი კონვერტი იდო. ერთმა აიღო კონვერტი, ყველას აცნობა, რომ პირველად ბედის ცდის უფლება ამერიკელებს ეძლევათ და უკვე მეორე ცდაზე საკითხი არგენტინის სასარგებლოდ გადაწყვიტა...

როგორც ცნობილია, ფიდე-ს კონგრესი განიხილავდა ახალი სისტემის საკითხსაც მსოფლიო პირველობის გათამაშების მომდევნო ციკლისთვის. ამერიკის ფედერაციის წინადადებით, კენჭი უყარეს პრინციპს, რომლის ძალითაც პრეტენდენტთა მატჩები მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ ერთ-ერთი მეტოქე განსაზღვრული რაოდენობის პარტიებს არ მოიგებს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია (სხვა დროს მუდამ ასე იქცეოდა თვით ფიდეც) ასეთ კარდინალურ წინადადებას წინასწარ განსახილველად ეროვნულ ფედერაციებს უგზავნის. ამჯერად ასე არ მოხდა და წინადადება, რომელსაც სხვა თუ არაფერი, დამუშავება აკლდა, მთლიანობაში გავიდა. ცალკეული პუნქტები? პრესის ბევრ ორგანოში დაშვებული იყო სერიოზული უზუსტობა. საქმე ისაა, რომ პრეტენდენტთა შეჯიბრების სხვადასხვა ეტაპზე მოგებული პარტიების სავარაუდო რიცხვი ჯერ კიდევ საბოლოოდ დათქმული არ არის, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ. გადაწყდა, რომ ეს არსებითი მომენტები „დაზუსტდეს“ ფიდე-ს შემდეგ კონგრესზე, ესე იგი მაშინ, როცა მსოფლიო პირველობის გათამაშების მიმდინარე ციკლი დამთავრდება.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მატჩს პეტროსიანსა და ფიშერს შორის.

ერთხელ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს წამოსცდა: „ეჰ, ნეტავ ახლა ისევ ის ახალგაზრდა პეტროსიანი ვიყო!“ მაგრამ იგი იქნებ გაამხნევა მატჩის შემდეგ კორჩნოის ნათქვამმა სიტყვებმა: „პეტროსიანი დიდოსტატთა უმეტესობაზე უკეთ უძლებს ხანგრძლივ დაძაბულობას, პარტიის ბოლომდე ფხიზელი გონებით თამაშობს. ამ ძვირფასი თვისებით მსოფლიო ჩემპიონიც კი ვერ მოიწონებს თავს — რამდენჯერ „დახლტომია ხელიდან“ პეტროსიანი სპასკის თამაშის მეხუთე საათზე“. მანამდე კი იგივე აღნიშნა მ. ბოტვინიკმა: „პეტროსიანი, როგორც წესი, პარტიის პირველ ნახევარშივე იბრძვის მეტოქის აქტიური სწრაფვის წინააღმდეგ, რითაც საფრთხეს იცილებს თავიდან. ამასთან, იგი გაცილებით ნაკლებ ძალასა და დროს ხარჯავს საამისოდ, ვიდრე პარტნიორი. ეს პეტროსიანს კარგ პირობებს უქმნის პარტიის მეორე ნახევარში, როცა იგი ბრძოლის ხასიათს ცვლის და იერიშზე გადადის“. როგორც ხედავთ, მთავარია არა ასაკი, არამედ საერთო ფიზიკური და ნერვული მდგომარეობა.

ჩემი აზრით, პეტროსიანი დღეს საუცხოო ფორმაშია. აქტიურმა დასვენებამ, ტყეში სეირნობამ, მაგიდის ჩოგბურთმა, ფოტოგრაფიით, მუსიკით გატაცებამ და ბევრმა სხვამ კარგი საქმე გააკეთა. პეტროსიანს ძალიან უყვარს თავისი ოჯახი. როცა იგი ახლობელთა და ოჯახის წევრთა შორისაა, თითქოს ძალა ემატება, მათაც იციან ეს, ტაქტიკურად, ჭკვიანურად უქმნიან საჭირო გარემოს. უფროსი ვაჟი მიხეილი, ასპირანტია, ბიოფიზიკოსი, ახლახან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. იგი ეშმაკური სიცილით ეუბნება: „მამა, ფიშერს თუ მოუგებ, ჩემს შემდგომ პირად ცხოვრებას ზუსტად შენი განკარგულებების მიხედვით ავაგებ“. უმცროსი, ვართანი, ელექტრული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში ჩაირიცხა და დღედაღამ წიგნებს ჩაჰკირკიტებს — იცის, როგორ გაახარებს ამით მამას.

არგენტინაში მისი გაფრენის თითქმის წინა დღეებში ექს-ჩემპიონთან ერთად ლუჟნიკის სტადიონზე ფეხბურთის მატჩს დავესწარი. მერე სადგურზე გავაცილე. პეტროსიანს დააგვიანდა საგარეუბნო მატარებელზე, რომელიც მისი აგარაკისკენ მიდიოდა. მეორე მატარებლის ჩამოდგომამდე თითქმის ერთ საათს მოცდა დაგვჭირდა. მანამდე პეტროსიანი ჯიუტად სდუმდა ფიშერთან მატჩზე. აქ კი, შეიძლება გრილმა, ბნელმა საღამომ და ერთადერთმა თანამოსაუბრემ იგი დაუბრუნა აზრებს, რომლებიც ალბათ აკვიატებული ჰქონდა და ვერ მოეშორებინა, თუმცა საერთოდ ოსტატურად შეუძლია „გამოთიშვა“. მართალია, თავიდან სხვაზე დაიწყო ლაპარაკი.

— ბუენოს-აირესში ახლა გაზაფხულია. ბოლო ათი წლის მანძილზე ოქტომბრის საშუალო ტემპერატურა იქ პლუს 21 გრადუსია. მართალია, ტემპერატურა ზოგჯერ მინუს 2-დან პლუს 32 გრადუსამდე მერყეობს, მაგრამ ამჯერად უკეთესის იმედი ვიქონიოთ. არა, მთავარი ამინდი როდია. მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის თამაში უფრო ძნელი იყო. მაშინ გავლენას ახდენდა არა იმდენად გრძნობა პასუხისმგებლობისა, რამდენადაც ტვირთი, პასუხისმგებლობის უღელი. ახლა კი ჯერ კიდევ კორჩნოისთან მატჩის წინ გადავწყვიტე უფრო თავისუფლად მეთამაშა. ვამბობდი, მიიღოს ვიქტორმა უპირატესობა დებიუტში, არ არის საჭირო ნერვიულობა, თავიდანვე ხანგრძლივად ფიქრი-მეთქი. დავრწმუნდი, რომ სულ ერთია, 40 წუთშიცა და 10 წუთშიც თანაბარი ხარისხის სვლებს ვაკეთებ. ასე თამაშს ყოველთვის ვერ ვახერხებდი, მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა განვეწყო „სამოყვარულო“, მსუბუქი, ძალდაუტანებელი თამაშისთვის. ჯერჯერობით თითქოს არა მიშავს. ერთი გრძნობა არ მტოვებს (პეტროსიანმა უცებ გაიცინა) — ცნობისმოყვარეობა! სად ისწავლა ასე თამაში ბობიმ, ყველას რომ ნოლზე უგებს? არგენტინაში ორჯერ ვიყავი — 1954 და 1964 წლებში. იმ ნახევარსფეროზე გონს მოსასვლელად ათი დღე მაინც მჭირდება და ამიტომ მივემგზავრები 20 სექტემბერს. სხვათა შორის, პირველი პარტია 30 სექტემბერს შედგება, მეორე კი მხოლოდ 5 ოქტომბერს. ფიშერმა ჯერ კიდევ ტელეფონით მაცნობა, რომ რელიგიური დღესასწაულების დროს თამაშს არ აპირებს. ძალიან კარგი, ამასობაში მეც მეტი დრო მექნება აკლიმატიზაციისთვის. პარტიის დამთავრება მაინც მოსკოვის დროით, დაახლოებით დილის ოთხ საათზე მოგვიწევს.

პეტროსიანი ერთხანს სდუმდა და მერე დასძინა:

— დღეს სპასკის შევხვდი. ჭადრაკი, რასაკვირველია, არ გვითამაშია, ისე, რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. წარმატება მისურვა.

რა თქმა უნდა, ჩვენს თანამემამულეს ყველა საბჭოთა მოჭადრაკე წარმატებას უსურვებს მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზების სტატისტიკა ოდნავ მაინც ამერიკელი დიდოსტატის მხარეს იხრება. „საუკუნის მატჩში“ მან აჯობა პეტროსიანს — 3:1. ეს ამბავი საზოგადოებრივ აზრზე მოქმედებს არანაკლებ, ვიდრე ფიშერის ორი „მშრალი“ გამარჯვება მ. ტაიმანოვთან და ბ. ლარსენთან. მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ „საუკუნის მატჩში“ ორი პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ ორივე მომდევნო პარტიაში პეტროსიანი ინიციატივას ფლობდა. მხოლოდ თამაშის დროს მის მიერვე დაშვებულმა უზუსტობამ და ამერიკელის თავგანწირულმა დაცვამ არ მისცა პეტროსიანს მოგების საშუალება. საერთოდაც, 18 პარტიიდან ორივე მეტოქემ 3-3 მოიგო. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მიუხედავად ამისა, ჭადრაკის ბევრი ყველაზე დიდი ავტორიტეტი ვერ ბედავს რომელიმე მეტოქის უცილობელი გამარჯვება იწინასწარმეტყველოს. მ. ბოტვინიკი, ვ. კორჩნოი, ლ. შტეინი და ბევრი სხვაც შეუპოვარ ბრძოლას ელიან.

ჭადრაკის მოყვარულებთან ბოლო შეხვედრის დროს მოსკოვის საზოგადოება „სპარტაკის“ ახალი საჭადრაკო კლუბის გახსნაზე პეტროსიანს თანაკლუბელთა სახელით გზა დაულოცა დიდოსტატმა ს. ფლორმა: „როგორც გავიგე, ბუენოს-აირესში იმავე ფიგურებით მოგიწევთ თამაში, რომლებითაც 1927 წელს დიდი ალიოხინი და კაპაბლანკა თამაშობდნენ. მაგრამ, გთხოვთ, ითამაშოთ მხოლოდ ისე, როგორც პეტროსიანი თამაშობს“.

ჩემთვის ძალზე ახლობელია უკვე გამოთქმული შეხედულება, თითქოს ტ. პეტროსიანის საბრძოლო განწყობილების დაცემა უშუალოდ მსოფლიო გვირგვინისთვის შეხვედრებს შორის მხოლოდ თავისებურ დამცველ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი თავისებური „შემოქმედებითი შვებულება“, როგორც მე მოველი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მისცემს საშუალებას ერთად მოუყაროს თავი ყველაფერს, რამაც არც ისე დიდი ხნის წინ ორჯერ მოაპოვებინა მსოფლიო პირველობა.

ა. როშალი,
ყოველკვირეული „64“-ის პასუხისმგებელი მდივანი.

• • •

სურათზე: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი (მარჯვნივ). სურათი გადაღებულია ბელგრადში სსრ კავშირის ნაკრებისა და მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა გუნდის მატჩის დროს.

ვ. ეგოროვის ფოტო (საკდესი).

ჭადრაკი
XXXIX.

ლიდერთა პარტიები გადაიდო

ლენინგრადი, 29 სექტემბერი. გუშინ, X ტურში, ლიდერებმა მ. ტალმა (რიგა) და ვ. სავონმა (ხარკოვი) პარტიები ვერ დაამთავრეს. პირველი რ. ჯინჯიხაშვილთან (თბილისი) თამაშობდა, მეორე — ა. კარპოვთან (ლენინგრადი). მაგრამ ისინი მაინც ლიდერებად დარჩნენ: 6,5 ქულა მათს გარდა არავის აქვს. ვ. სმისლოვი (მოსკოვი) ლიდერებს კვალში მიჰყვება. ლ. შტეინთან (კიევი) შეხვედრა მან ყაიმით დაასრულა და 6 ქულა დაუგროვდა. ამდენივე ქულა აქვს დ. ბრონშტეინს (მოსკოვი), რომელიც ი. პლატონოვთან (კიევი) შეხვედრაში ყაიმს დასჯერდა.

ი. ნიკოლაევსკის (კიევი) ლიდერთა ჯგუფში მოხვედრის შანსი ჰქონდა, მაგრამ ა. ლეინმა (მოსკოვი) მოუგო. სამაგიეროდ, პოტენციური ლიდერია ე. გელერი (მოსკოვი), რომელმაც სძლია მინსკელ ოსტატ ა. კაპენგუტს. ახლა მას 5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

იმარჯვა კ. გრიგორიანმა (ერევანი). ლენინგრადელმა ვ. კარასიოვმა ვერ გაუძლო მის იერიშს და დამარცხდა. ჭაბუკმა სომეხმა დიდოსტატმა რ. ვაგანიანმა ზედიზედ მესამე პარტია წააგო, ამჯერად ნ. კროგიუსთან (სარატოვი).

აუტსაიდერებში მოექცა ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), მაგრამ X ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მოსკოვის ჩემპიონ ი. ბალაშოვთან.

გადაიდო ლენინგრადელების მ. ტაიმანოვი—მ. ცეიტლინისა და მოსკოველების ლ. პოლუგაევსკი—ლ. შამკოვიჩის შეხვედრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის 1971 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — კიევის „დინამო“. დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): მწვრთნელი მ. კომანი, ა. ბოგოვიკი, გუნდის ექიმი ვ. ბერკოვსკი, ვ. ხმელნიცკი, რ. ჟურავსკი, ე. რუდაკოვი, ვ. ვერემეევი, ს. რეშკო, ა. ბიშოვეცი, ვ. ონიშჩენკო, ვ. კოლოტოვი, უფროსი მწვრთნელი ა. სევიდოვი. სხედან: ვ. სოსნიხინი, ვ. მატვიენკო, ფ. მედვიდი, ა. პროხოროვი, ვ. ტროშკინი, ს. დოცენკო, ა. პუზაჩი, ვ. მუნტიანი.

ე. მალიშევსკის ფოტო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

შეხვედრები, გოლები, შედეგები

28 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა შეხვედრა კიევში, სადაც ადგილობრივი დინამოელები მასპინძლობდნენ ლვოვის „კარპატის“. კიეველებმა პრაქტიკულად კარგა ხნის წინ გაიხადეს ჩემპიონის წოდება, მაგრამ ამ ტიტულის ოფიციალურად დასამტკიცებლად მათ სჭირდებოდათ კიდევ ერთი ქულა. დინამოელებმა „კარპატისთან“ ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 21-ე წუთზე გაიტანა კოლოტოვმა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის ბოლო წუთებში მსაჯმა მინდვრიდან გააძევა დინამოელთა კაპიტანი ვ. სოსნიხინი.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი დონეცკში ადგილობრივ „შახტიორსა“ და „ნევთჩის“ შორის. ბაქოელებმა შეძლეს მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება — 1:0. გოლის ავტორია ბანიშევსკი.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო“ და როსტოვის არმიელთა გუნდი. აქ დაწინაურდნენ როსტოველები (ჩიხლაძე), მაგრამ ნიკონოვმა, პახომოვმა და პაისმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს არმიელთა კარში. შესვენების შემდეგ ესკოვმა შეძლო შეემცირებინა განსხვავება 1 ბურთამდე. გაიმარჯვა „ტორპედომ“ — 3:2.

ანგარიში არ გახსნილა ვოროშილოვგრადში, სადაც თამაშობდნენ „ზარია“ და „არარატი“ — 0:0.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	27	17	9	1	39—13	43
„არარატი“ (ერევანი)	26	11	10	5	30—22	32
„დინამო“ (მოსკოვი)	26	9	11	6	33—17	29
„დინამო“ (თბილისი)	25	11	6	8	27—32	28
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	25	8	10	7	24—20	26
ცსკა	28	7	11	10	32—29	25
„ნევთჩი“ (ბაქო)	25	8	9	8	27—27	25
„კარპატი“ (ლვოვი)	27	5	15	7	28—33	25
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	24	6	12	6	27—24	24
„ტორპედო“ (მოსკოვი)	24	4	16	4	21—19	24
„კაირატი“ (ალმა-ათა)	24	7	9	8	28—32	23
„შახტიორი“ (დონეცკი)	26	9	4	13	26—31	22
„დინამო“ (მინსკი)	24	6	9	9	27—34	21
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	25	6	9	10	21—28	21
ასკ (დონის როსტოვი)	25	6	6	13	25—37	18
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	23	4	10	9	21—38	18

II ლიგა IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	32	18	10	4	47—15	46
„მეტალურგი“ (რუსთავი)	32	17	11	4	48—19	45
„სპარტაკი“ (კოსტრომა)	32	12	14	6	42—26	38
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	34	14	9	11	52—35	37
„დინამო“ (ბათუმი)	33	9	18	6	27—22	36
„მოტორი“ (ვლადიმირი)	32	11	12	9	32—30	34
„სატურნი“ (რიბინსკი)	32	14	6	12	35—38	34
„მერცხალი“ (მახარაძე)	33	10	14	9	24—33	34
„სპარტაკი“ (რიაზანი)	33	12	9	12	31—29	33
„დილა“ (გორი)	33	10	13	10	43—46	33
„კოლხეთი“ (ფოთი)	32	10	11	11	26—33	31
„სპარტაკი“ (სარანსკი)	32	10	10	12	26—33	30
„მეშახტე“ (ტყიბული)	33	11	8	14	39—48	30
„ხიმმაშოვეცი“ (პენზა)	32	10	9	13	28—29	29
„დინამო“ (სოხუმი)	32	9	11	12	36—39	29
„დინამო“ (კიროვი)	33	10	8	15	30—34	28
„მაშინოსტროიტელი“ (პოდ.)	32	9	10	13	30—37	28
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	32	8	11	13	23—35	27
„დინამო“ (ვოლოგდა)	32	8	11	13	20—40	27
„სპარტაკი“ (ტამბოვი)	32	6	7	19	18—36	19

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და გაიტანეს რა 3 ბურთი, გამარჯვება ფაქტიურად შესვენებამდე გაინაღდეს (გვარამია, ქაჩიბაია, მურღულია). ეს ანგარიში მათ ბოლომდე შეინარჩუნეს.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „იბერია“ (ხაშური) 3:2. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ვინაიდან ლაითურის სტადიონი დისკვალიფიცირებულია, აქაური გუნდი ჩემპიონატის კალენდარულ თამაშებს ვანში ატარებს. აღნიშნულ მატჩში „გიგანტი“ მე-17 წუთისთვის წინ იყო ანგარიშით 2:0 (გოგოტიშვილი, სარიშვილი), ხოლო ტაიმის დასასრულს ლომსაძემ სხვაობა შეამცირა 1 ბურთით. შესვენების შემდეგ ორივე კარში თითო ბურთი გავიდა (ხაშურელთაგან გოლის ავტორი იყო ლომსაძე, ხოლო ლაითურელთაგან — ორაგველიძე) და „გიგანტმა“ გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი)— „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

გარდაბნელი თამაგარის მიერ შეხვედრის დასაწყისში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში, თუმცა ორივე მხარეს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდა მოეხდინა ცვლილება ანგარიშში.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გარდაბნელი ბ. ფანცხავა.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სამცხე“ (აწყური) 2:0. მსაჯი გ. მიმინოშვილი (თბილისი).

მატჩის პირველ ნახევარს შედეგი არ მოჰყოლია. შემდგომში მასპინძლებმა ორგანიზებულად, მონდომებით ითამაშეს, რასაც მოჰყვა გეგეჭკორისა და ოდიშარიას მიერ გატანილი 2 გოლი.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1. მსაჯი ე. ჩიბჩიური (თბილისი).

● „ციხკარი“ (სიღნაღი)— „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

გოლი, რომელმაც „ციხკარს“ გამარჯვება მოუტანა, მატჩის ბოლო წუთებზე გაიტანა გუნდის მცველმა ხიზანიშვილმა.

● „განთიადი“ (ცხინვალი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

თამაშის დასაწყისში ცხინვალელი გაზაევი ორჯერ აღმოჩნდა მეკარის პირისპირ და ვერ შეძლო ამ საუკეთესო შესაძლებლობათა გამოყენება. შემდეგ „სქურის“ კართან მოწოდებულ იქნა კუთხური, მეკარემ შეცდომა დაუშვა და კოზაევმა მკერდით გაიტანა ბურთი ბადეში.

უხეში თამაშისთვის მსაჯის მიერ გაფრთხილებულია ცხინვალელი ხ. ქოქოევი.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „ისანი“ (თბილისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 5:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ისნელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მატჩის გმირად შეიძლება ჩაითვალოს კეჟერაშვილი, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. მეხუთე გოლის ავტორია მელაშვილი.

● ასკ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 0:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

„სინათლემ“ გაიმარჯვა სიმონიშვილის მიერ 75-ე წუთზე შორი მანძილიდან გატანილი ბურთის წყალობით.

● „სულორი“ (ვანი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

გაიმართა 2 გამოტოვებული შეხვედრა. ჭიათურის „მაღაროელმა“ მარცხი განიცადა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან — 0:1, ხოლო სამტრედიის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა ზესტაფონის „მეტალურგი“ — 5:1.

II ჯგუფი

„ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 2:1, „მევენახე“ (ბოლნისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „მშენებელი“ (წალკა) 4:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 1:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:1. „შირაქი“ (წითელი წყარო) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) — 2:0, „კომეტა“ (ფოთი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური) 5:0, „მექანიკოსი“ (სამტრედია) — „დინამო“ (ოჩამჩირე) 2:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:1, „განთიადი“ (აბაშა) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:1, „სალხინო“ (მაიაკოვსკი) — „განახლება“ (ადიგენი) 3:1, „მექანიკოსი“ (სამტრედია) — „კოლმეურნე“ (ქედა) 4:1.

ახალციხის „მესხეთს“ გამარჯვება ჩაეთვალა ლაგოდეხის „ჰერეთთან“, ბორჯომის „განთიადს“ — წითელი წყაროს „შირაქთან“, ხოლო ქედის „კოლმეურნეს“ — ქუთაისის „დინამოსთან“.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი)	36	29	4	3	79—25	62
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	37	23	8	6	61—24	54
„სინათლე“ (თბილისი)	36	25	3	8	71—33	53
„დინამო“ (ზუგდიდი)	39	18	11	10	59—36	47
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	38	19	9	10	49—42	47
„კახეთი“ (თელავი)	38	16	14	8	61—43	46
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	39	15	13	11	50—44	43
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	38	18	6	14	60—46	42
„სულორი“ (ვანი)	38	14	12	12	37—35	40
„ეგრისი“ (ცხაკაია)	39	15	10	14	44—46	40
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	35	12	15	8	43—33	39
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	34	15	8	11	52—42	38
„იბერია“ (ხაშური)	38	11	14	13	43—47	36
ასკ (თბილისი)	34	12	10	12	38—31	34
„ისანი“ (თბილისი)	37	9	16	12	35—34	34
„სქური“ (წალენჯიხა)	37	8	17	12	44—56	33
„გიგანტი“ (ლაითური)	36	11	10	15	41—49	32
„შუქურა“ (ქობულეთი)	38	11	10	17	32—48	32
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	39	11	10	18	39—55	32
„სამცხე“ (აწყური)	36	8	14	14	40—50	30
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	37	11	8	18	29—45	30
„ციხკარი“ (სიღნაღი)	39	8	14	17	28—52	30
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	37	10	9	18	51—63	29
„განთიადი“ (ცხინვალი)	37	8	7	22	30—55	23
„ალაზანი“ (გურჯაანი)	38	4	13	21	25—52	21
„ვარძია“ (ასპინძა)	38	5	11	22	30—85	21

მოკლედ

ბერლინი. გდრ-ის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ფრედ — 1:1 (0:0) — ითამაშა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. 47-ე წუთზე ანგარიში გახსნა გდრ-ის ნაკრების დებიუტანტმა შტრაიხმა, ხოლო 13 წუთის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელთა ვეტერანმა კუნამ წონასწორობა აღადგინა.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19⁴⁵

პროგნოზების დრო ამოიწურა

ბუენოს-აირესი, 29 სექტემბერი. დღეს არგენტინის დედაქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა —ტ. პეტროსიან — რ. ფიშერის ფინალური მატჩი და გაიმართება წილისყრა. 30 სექტემბერს 17 საათზე ადგილობრივი დროით (მოსკოვში—იქნება შუაღამე) „სან-მარტინის“ თეატრალურ დარბაზში, რომელიც 1400 მაყურებელს იტევს, დაიწყება პირველი პარტია.

მატჩის მთავარი არბიტრია დიდოსტატი ლ. შმიდი (გფრ) და არა ავსტრიელი ა. დორაზილი. ეს ასპარეზობა უჩვეულო ინტერესს იწვევს. აქ ჩამოვიდნენ სპეციალური კორესპონდენტები მრავალი ქვეყნიდან. მომავალ ასპარეზობას დიდ ადგილს უთმობს ადგილობრივი პრესა, რადიო, ტელევიზია, ქვეყნდება მეტოქეთა პარტიები, რეპორტაჟები, პროგნოზები. გაზეთმა „ოპინიონმა“ მოაწყო ცნობილ მოჭადრაკეთა გამოკითხვა. არგენტინელმა ოსტატმა ხ. კარლოსმა განაცხადა: „მათემატიკური გამოთვლის მიხედვით, გაიმარჯვებს ფიშერი, ინტუიცია კი მკარნახობს, რომ მატჩს მოიგებს პეტროსიანი“.

ადგილობრივმა ხელისუფლებმა მატჩის მონაწილეთა პატივსაცემად გამართეს მიღება. მთავრობის სახელით დიდოსტატებს მიესალმა სპორტის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ს. ერნანდესი. მიღებაზე მყოფმა ჟურნალისტებმა პეტროსიანსა და ფიშერს მისცეს ბევრი შეკითხვა, მათ შორის ასეთი: რას ფიქრობთ მეტოქეზე? პეტროსიანი: „მისი წარმატებები თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე“. ფიშერის პასუხი უფრო ლაკონიური გამოდგა: „ჩემი მეტოქე მსოფლიო ჩემპიონი იყო“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 3 უე 04877